პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

ეროვნული ბიბლიოთეკა



20
მარტი

ოთხშაბათი,
1962 წ.
№ 56 (2161)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

V ტრადიციული

გრძელდება „შრომითი რეზერვების“ ფიზკულტურული კოლექტივების V საქალაქო ტრადიციული სპარტაკიადა. დამთავრდა შეჯიბრებები სპორტის კიდევ ორ სახეობაში — თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. თავისუფალ ჭიდაობაში გამარჯვებული გამოვიდა მე-11 პროფტექსასწავლებლის გუნდი, ხოლო კლასიკურში — მე-6 პროფტექსასწავლებლის კოლექტივი.

წონითი კატეგორიების მიხედვით თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ: შ. ჯეირანაშვილი, ბ. გელაშვილი, ე. ტეფნაძე, კ. კოწოწაშვილი (ყველა მე-11 სასწავლებლიდან), ო. ხეთაგური (ინდუსტ. ტექნიკუმი), ო. ჩხეტიანი (მე-6 სასწავლებელი), მ. ბუზალაძე (38-ე სასწავლებელი), ლ. კუჭუხიძე (ინდუსტ. ტექნიკუმი).

კლასიკურ ჭიდაობაში პირველები იყვნენ: შ. ჯეირანაშვილი, დ. რობაქიძე (მე-6 სასწავლებელი), ი. ბროლაძე (41-ე სასწავლებელი), ო. ორჯონიკიძე (მე-6 სასწავლებელი), ფ. თხელიძე (ინდუსტ. ტექნიკუმი), ა. დუდუჩავა (31-ე სასწავლებელი), მ. ხაჩიძე და ლ. კუჭუხიძე (ორივე ინდუსტრ. ტექნიკუმიდან).

გაიმართა ფეხბურთელთა და ფრენბურთელთა მორიგი შეხვედრები. ფეხბურთელთაგან კარგად ითამაშეს მე-6, 38-ე და 31-ე სასწავლებლების გუნდებმა. ფრენბურთში კარგად გამოდიან ინდუსტრიული ტექნიკუმის, მე-6 და 41-ე სასწავლებლების კოლექტივები.

ი. რუხაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი

უძლიერესთა შორის

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტულმა გაზეთმა „დოიჩე სპორტეხომ“ მარტის თვის ერთ-ერთ ნომერში მიმოიხილა მოკლე მანძილზე მორბენალთა 1962 წლის სეზონის მაჩვენებლები. გაზეთი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში იტალიელებმა, ინგლისელებმა და გერმანელებმა ამერიკელებს მოკლე მანძილზე რბენაში რამდენიმეჯერ მოუგეს ოქროს მედლები, ამერიკელი მორბენლები მაინც უძლიერესად რჩებიან სპრინტში. ამ ბოლო დროს თავი გამოიჩინა 20 წლის რ. ჰესმა, რომელიც სისტემატურად აჩვენებს მაღალ შედეგებს. მაგალითად, 10 თებერვალს 200 მეტრზე რბენაში მან მსოფლიო რეკორდი გაიმეორა. არანაკლები წარმატებები აქვთ საბჭოთა და პოლონელ სპრინტერებს, რომლებმაც გაზეთის მიმომხილველის სიტყვით, „წყალი შეუყენეს“ ამერიკელებს. გაზეთი აქვეყნებს იმ სპრინტერთა გვარებს, რომლებმაც 1962 წლის სეზონში მაღალი შედეგი აჩვენეს. ამ სიაში მოხვდა ორი ქართველი სპორტსმენი ე. ლომთაძე და ა. ბედუკაძე, რომლებმაც ერთნაირი შედეგით (100 მეტრი—10,3) დაამთავრეს გასული წლის სპორტული სეზონი.

თამაში რომ უფრო საინტერესო გახდეს

ახალი წესების შემოღებამ წყალბურთში, რომლის მიხედვით შეჯიბრებანი მიმდინარეობს 1961 წლიდან, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სპორტის ამ სახეობის სპეციალისტებს შორის. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს ცვლილებანი დიდი ნაბიჯი იქნება წყალბურთის თამაშის პროგრესის დარგში. ამ აზრის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ თუ კი შეიცვლება რაიმე, იგი არცთუ ისე მნიშვნელოვანი იქნება.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ახალმა წესებმა ერთგვარად წინ წასწია წყალბურთი, მაგრამ მას ამ ეტაპზეც აქვს თავისი ჩრდილოვანი მხარეები. იმისათვის, რომ წყალბურთი უფრო საინტერესო იყოს, მისგან მეტი სიამოვნება მიიღონ მაყურებლებმა, სპორტის ამ სახეობის ცნობილი სპეციალისტები ახალ საკითხებს აყენებენ ამ მიმართებით. **იუგოსლაველი** მოღვაწეები ამტკიცებენ, რომ ამჟამად არსებული საერთაშორისო წესები აწყობთ იმ გუნდებს, რომლებიც დაცვითი ტაქტიკის მიმდევრები არიან და ცდილობენ როგორმე არ წააგონ თამაში. ეს კი, როგორც ვიცით, ძალზე მოსაწყენი თამაშის საწინდარია. მათ წინადადება შემოაქვთ შეჯიბრება მოეწყოს კვლავ ორ ტაიმად, ამასთან გადიდებულ იქნას თამაშის ხანგრძლიობა თვითეული ნახევრისა 12–15 წუთამდე.

ფრანგებიც თამაშის დროის გადიდებას მოითხოვენ, ამას გარდა წინადადებას იძლევიან მატჩს უხელმძღვანელოს ორმა მსაჯმა. მსაჯობის ასეთი სისტემა გამოყენებულ იქნა 1962 წლის საფრანგეთ-გფრ-ს გუნდების თამაშის დროს. ორივე მხარემ განაცხადა, რომ ისინი კმაყოფილი არიან მსაჯობით.

იტალიელ ს. კატალანის (წინათ ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მოთამაშეს) მიაჩნია, რომ ახალი წესები უსარგებლოა — თამაში ძალზე მალე მთავრდება, ამასთან მოთამაშეებს დრო გაჰყავთ ერთმანეთისათვის ბურთის გადაცემით. ყველაფერმა ამან „დიდება“ მოუტანა არასპორტული თამაშის მოყვარულებს. კატალანის წინადადება შემოაქვს შეხვედრა მოეწყოს 3 ტაიმად (თვითეული 8–8 წუთი), ან 4 ტაიმად (32 წუთის განმავლობაში). შეიცვალოს აუზიდან მოთამაშეთა გაძევების სისტემა. წყალბურთელმა უნდა დატოვოს „მოედანი“ არა კარის აღებამდე, არამედ გარკვეული დროის განმავლობაში.

უნგრელებიც წყალბურთის წესებში ახალი ცვლილებების შეტანის მომხრენი არიან. ისინი მხარს უჭერენ კატალანის წინადადებას აუზიდან მოთამაშის გაძევების საკითხში. ამასთან ერთად უნგრელი სპეციალისტები წინადადებას იძლევიან, რომ შემოიფარგლოს ბურთის ტარების დრო. ერთ გუნდს მისი ფლობა უნდა შეეძლოს გადამწყვეტ ტყორცნამდე 30 წამის განმავლობაში. თუ კი ნატყორცნი ბურთი კარის ძელს მოხვდა, შემტევ გუნდს უფლება აქვს ბურთს ფლობდეს დამატებით კიდევ 30 წამი. ამას გარდა, უნდა შეიცვალოს 4-მეტრიანი ტყორცნის შესრულების წესი. საჯარიმოს შესრულება უნდა შეეძლოს არა მარტო „დაზარალებულ“ მოთამაშეს, არამედ ყველა მის თანაგუნდელს.

წყალბურთში ახალი ცვლილებების შეტანის მომხრეებად გვევლინებიან საბჭოთა სპეციალისტებიც. ამას წინათ ლენინგრადში შეიკრიბნენ წყალბურთის დარგში მომუშავე მუშაკები, რომლებმაც განიხილეს სპორტის ამ სახეობაში არსებული მდგომარეობა, ხალხთა III სპარტაკიადის, ტოკიოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხები.

შეკრების მონაწილეებმა ილაპარაკეს აგრეთვე წყალბურთის წესებში ახალი ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ. როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, წყალბურთი შემოქმედებით ჩიხში მოემწყვდა. იმისათვის, რომ თამაში უფრო საინტერესოდ წარიმართოს, საჭიროა განისაზღვროს გუნდის მიერ ბურთის ფლობის დრო. ეს და სხვა წინადადებანი გაეგზავნება წყალბურთის საერთაშორისო ფედერაციას. მაგრამ წესების შეცვლა მოსალოდნელია განხორციელდეს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ. შეკრების მონაწილეებმა აზრი გამოთქვეს, რომ ეს სისტემა შეიძლება შემოღებულ იქნას საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებზე.

სურათზე: სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი გ. ჩიქვანაია უტევს მეტოქის კარს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

კალათბურთი

ქალების მოსინჯვა

მოსკოვი. (ტელეფონით, ჩვენი საკ. კორ.). კალათბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით მოსკოვის ცსკა-სა და თბილისის „დინამოს“ გუნდების შეხვედრის შედეგი ზამთრის საკავშირო შეჯიბრების პირველ ეტაპზე გაუქმებულ იქნა. ამიტომ გუნდები ხელახლა შეხვდნენ ერთმანეთს მოსკოვში 19 მარტს.

ძველი მოწინააღმდეგეები მოედანზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობებით: **ცსკა** — ალაჩაჩიანი, ასტახოვა, ბოჩკარიოვა, სემიონოვა და ტრავინი. **„დინამო“** — მინაშვილი, მოსეშვილი, ხაზარაძე, ალთაბაევი და კაზანჯიანი. როგორც ხედავთ, არც ერთი გუნდის შემადგენლობაში არ გამოდიოდნენ ნაკრების წევრები. და ამის მიუხედავად, მატჩი მეტად დაძაბული და მწვავე იყო. როგორც ცნობილია, ცსკა და თბილისის „დინამო“ ამ მოკლე ხანში ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში, ამიტომ გუშინდელი მატჩი ძალთა ერთგვარ შემოწმებას წარმოადგენდა საპასუხისმგებლო შეხვედრების წინ.

პირველ წუთებზე ინიციატივა ხელთ იგდეს მასპინძლებმა, რომელთა მთავარი „დირიჟორი“ ა. ალაჩაჩიანი კარგად ანაწილებდა ბურთებს და თვითონაც წარმატებით „ბომბავდა“ მოწინააღმდეგის კალათს. პირველ ნახევარში ბევრი უსიამოვნება მიაყენა თბილისელთა დაცვას სემიონოვამ და განსაკუთრებით ბოჩკარიოვამ. ზუსტად ისროდნენ კალათში ტრავინი და ასტახოვი.

არმიელებმა წაიყვანეს ანგარიში — 14:6, 18:8, 20:12, 22:16. ტაიმის დასასრულს თბილისელებმა მოედანზე გამოიყვანეს სხიერელი, გოგელია და მიმართეს პრესინგს. ამან „დინამოს“ წარმატება მოუტანა. ტაიმი დამთავრდა ფრედ — 32:32.

დინამოელთა რიგებს დაღლილობა საგრძნობლად დაეტყო შესვენების შემდეგ. ინიციატივა ხელთ იგდეს არმიელებმა, რომლებმაც შეინარჩუნეს იგი თამაშის დამთავრებამდე და გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით 75:65.

ნ. კოლოგოვი

• • •

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა კალათბურთელთა ზამთრის საკავშირო შეჯიბრების მორიგი კალენდარული შეხვედრები.

სვერდლოვსკი. ადგილობრივმა „ურალმაშმა“ ჩაატარა ორი შეხვედრა თავის მოედანზე. ვილნიუსის „ჟალგირისს“ მან მოუგო ანგარიშით 50:46. ურალელთა გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე მეორე მატჩი კიევის არმიელებთან—63:51.

კაუნასი. ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ დაამარცხა ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — 50:47.

რიგა. არმიის სპორტული კლუბის გუნდმა მინიმალური უპირატესობით სძლია სვერდლოვსკის „ურალმაშს“ — 55:54.

მოსკოვი. დედაქალაქის ცსკა-მ დაამარცხა რიგის ვეფი — 80:63.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
„სტროიტელი“ კიევი	11	10	1	10
სკა კიევი	11	8	3	8
ცსკა მოსკოვი	10	7	3	7
„ურალმაში“ სვ.	10	6	4	6
„დინამო“ თბ.	9	5	4	5
ვეფი რიგა	10	5	5	5
სკა რიგა	11	5	6	5
„ჟალგირისი“ კნ.	12	5	7	5
„ბურევესტნიკი“ ლდ.	9	4	5	4
„ბურევესტნიკი“ თბ.	10	4	6	4
„კალევი“ ტარტუ	11	4	7	4
„სპარტაკი“ ლდ.	12	4	8	4
„ჟალგირისი“ ვლ.	9	2	7	2

გადამწყვეტ ეტაპზე

რიგაში დაიწყო ქალთა საკავშირო პირველობის გადამწყვეტი თამაშები კალათბურთში. პირველ დღეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები შეხვდნენ ტარტუს უნივერსიტეტის გუნდს. მატჩის პირველ ნახევარში უპირატესობა ესტონელთა მხარეს იყო, რომლებმაც მოიგეს კიდეც ტაიმი — 27:20.

შესვენების შემდეგ მოწინააღმდეგეთა ძალები გათანაბრდა და სხვაობა ანგარიშში 3 ქულამდე დავიდა — 42:39. მაგრამ, სწორედ ამ დროს 5 პერსონალური შეცდომის გამო მოედანი დატოვა თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჯანელიძემ. ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი ესტონელთა სასარგებლოდ — 57:50. ამ დღეს პირველი გამარჯვება მოიპოვა „ა“ კლასის დებიუტანტმა, ვილნიუსის „კიბირკშტისმა“. მან დაამარცხა კაუნასის „პოლიტექნიკი“ ანგარიშით 58:56.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
ტტტ რიგა	5	5	0	5
სკა ლენინგრადი	5	5	0	5
ხიმ-ი მოსკოვი	5	4	1	4
„დინამო“ მოსკოვი	5	4	1	4
უსკა ტარტუ	6	4	2	4
„ბურ“. ლენინგრადი	5	3	2	3
„სიბირიაჩკა“ ნოვოს.	5	2	3	2
„ტექსტილმაში“ ტშ.	5	2	3	2
„ბურ“. როსტოვი	5	1	4	1
„ბურ“. თბილისი	6	1	5	1
„კიბირკშტისი“ ვლნ.	6	1	5	1
„პოლიტექნიკი“ კნ.	6	0	6	0

საუბარი სიმარჯვის შესახებ

ადამიანის მოძრაობითი თვისებები — ძალა, სისწრაფე და ამტანობა იზომება და საკმაოდ ნათლად წარმოსადგენიცაა: ძალა—კილოგრამებში, სისწრაფე — წუთებსა და წამებში, ამტანობა — დროში, როცა შესასრულებელი სამუშაოს მუდმივი ძალოვნება შეინარჩუნება.

მეოთხე მოძრაობითი თვისებაა — სიმარჯვე. მას არა აქვს ობიექტური საზომი. იგი იზომება თვალით და ამიტომ მას ხშირად ურევენ სპორტსმენის ტექნიკურობის გაგებასა და მოქნილობაში.

რას წარმოადგენს სიმარჯვე? ესაა უეცრად წარმოშობილ სიტუაციაზე სწრაფი მოძრაობითი პასუხის გაცემის უნარი. როცა ვ. ბრუმელი ასრულებს ნახტომს, მისი მაღალი ტექნიკა უზრუნველყოფს მოძრაობის საჭირო და ერთგვარ სტანდარტულ ფორმას, მაგრამ ყოველი ხტომა რაღაცით განსხვავდება სხვა ხტომებისაგან. სწორედ ეს სასარგებლო შესწორებანი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წარმოიშვება სიმარჯვით.

თუ ტანმოვარჯიშე აკეთებს ჩამოხტომს ძელზე გადავლებით — ეს ტექნიკაა. მაგრამ აი მან ფეხის წვერი წამოსდო ძელს, შეიქმნა ახალი მოულოდნელი სიტუაცია და სიმარჯვე ეხმარება სპორტსმენს ფეხზე დადგეს. ნაკლებად მარჯვე შეიძლება დამტვრეულიყო კიდეც.

ყველაზე დიდი სიმარჯვე საჭიროა მოძრავ და სპორტულ თამაშებში, სადაც მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამო ყოველ წუთს წარმოიშობა ახალი, სწრაფად ცვლადი მდგომარეობანი, რომლებიც სწრაფ და ხელსაყრელ გადაწყვეტას მოითხოვენ და ამასთან ჩვევების მუდმივ შემგუებლობას საჭიროებენ ამ მდგომარეობებთან.

მაგრამ მარჯვე კალათბურთელი პირველ ხანებში შეიძლება არამარჯვე გამოდგეს, ვთქვათ, ჭიდაობაში. რატომ ხდება ასე?

ეს რომ გავიგოთ, საჭიროა წარმოვიდგინოთ მოთამაშის ყველა ჩვევები ბიბლიოთეკის თაროებზე შემოწყობილი წიგნების სახით. სიმარჯვე გამოიხატება იმაში, რომ სწრაფად მოძებნო საჭირო წიგნი, ხოლო ვარიანტი, როცა კალათბურთელს მოთხოვეს ეჭიდავა, შეიძლება გავუთანაბროთ იმ შემთხვევას, როცა ბიბლიოთეკარს მოთხოვენ წიგნს, რომელიც თაროებზე არ არსებობს, ვინაიდან კალათბურთელს ხომ არა აქვს ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ჭიდაობისათვის.

წიგნების რაოდენობის გაზრდა აუცილებლად გამოიწვევს საჭირო წიგნისათვის მოსაძებნი დროის გაზრდას, მაშინ როცა ახალი ჩვევების ათვისება დადებითად მოქმედებს სიმარჯვის განვითარების ხარისხზე. სიმარჯვე სწორედ ახალ მოძრაობათა ათვისების დროს ვითარდება, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების ადრეულ ასაკიდან ჩაბმას სხვადასხვა მოძრავ თამაშებში. განსაკუთრებით კარგია ისეთი ხალხური თამაშები, როგორიცაა „რიკ-ტაფელა“, „მრგვალი ვირი“, „ლახტი“, სახტუნებლებით ხტომები და სხვა.

თუ ბავშვს შესაძლებლობა არა აქვს სუფთა ჰაერზე ამხანაგებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა მოძრავ თამაშებში, მაშინ სიჭაბუკობის ასაკში ძნელია მისგან უმაღლესი ხარისხის სიმარჯვის მოთხოვნა.

დაგვრჩენია მხოლოდ დავუმატოთ, რომ ადამიანში არ არსებობს ცალკე აღებული მოძრაობითი თვისებები. ისინი ურთიერთდაკავშირებული არიან და ერთმანეთზე ზემოქმედებენ. ბუნებრივია, რომ უფრო სწრაფი და ძლიერი ადამიანი ყველა სხვა თანაბარ პირობებში უფრო მარჯვე იქნება, ხოლო სისწრაფისა და მოქნილობის უკმარობა უარყოფითად მოქმედებს სიმარჯვეზე.

ი. ალიხანოვი

სად შევიძინოთ?

დუშეთის რაიონის გრემისხევის საშუალო სკოლაში ახალგაზრდებს უყვართ ფიზკულტურა და სპორტი, დირექცია ცდილობს შექმნას მათთვის სათანადო პირობები, მაგრამ პურვილი სურვილად რჩება და სკოლამ ვერ შეძლო სპორტინვენტარის შეძენა, რადგან სოფლის მაღაზიები არასათანადოდ მარაგდება ამ სახის საქონლ თ. რაიონულ ცენტრში მდებარე მაღაზიაში სათანადო თანხის ჩარიცხვისა და ინვენტარის შეძენის საშუალება არ გვაქვს. განათლების ადგილობრივმა განყოფილებამ სკოლის ფიზკულტურული მუშაობისათვის 172 მანეთი გამოჰყო და მისი დახარჯვის გზების ძიებაში თანხა დღემდე აუთვისებელი დაგვრჩა.

ბოლოს დახმარებისათვის მივმართეთ თბილისის მე-15 სპორტულ მაღაზიას, მაგრამ იქიდანაც ხელცარიელი დავბრუნდით.

საკითხავია, სად შევიძინოთ სპორტული ინვენტარი, რა ბაზაზე ვიმუშაოთ სოფლის სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა, თუ სოფლის მაღაზიებს არ შემოაქვთ სათანადო საქონელი?

შ. ჩილოშვილი,

ფიზაღზრდის მასწავლებელი.

მთიდან დაშვება

საქართველოში ცხენოსნური სპორტი ძველთაგანვეა ცნობილი. მისი არსებობა ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანისთვისაა დადგენილი. ამაზე მეტყველებს ცხენოსნობისადმი მიძღვნილი ქართული ფოლკლორი.

ცხენოსნურმა სპორტმა, ისევე როგორც ხალხურ - ეროვნული სპორტის სხვა სახეობებმა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მოიპოვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ცხენბურთი, ისინდი, ყაბახი, თარჩია და სხვა ცხენოსნური თამაშები ხალხთა საყვარელ სანახაობად გადაიქცა. ამ რამდენიმე წლის წინ მათ მეტად ორიგინალური ცხენთა რბოლა — „მთიდან დაშვება“ დაემატა.

მთიდან დაშვება — საქართველოს მთიან რაიონებში ძველად გავრცელებული ცხენოსნური დოლის გადამუშავებულსა და რეგლამენტირებულ სახეობას წარმოადგენს, რომელიც თავის დროზე მიცვალებულის კულტთან იყო დაკავშირებული. ხევსურეთში ამ სახეობას „ცხენნ“ („ცხენდოლვი“) ეწოდება, ხოლო თუშეთში „სადგინი“. ცხენთა რბოლის ამ სახეობათა საერთო სახელწოდებაა დოლი. ეს ცნება ორი მნიშვნელობით იხმარება. ზოგადი, რომელიც ცხენოსნური რბოლების საერთოდ ყველა სახეობას ითავსებს და კერძო, რომელიც უბელო ცხენზე რბოლას გულისხმობს ძლიერ დასერილი ადგილების პირობებში.

მსგავსი შეჯიბრებები დადგენილი მარშრუტით იმართება, როგორც წესი, უგზო, მთიან და კლდოვან ადგილებში. ასეთი ხასიათის დოლში მონაწილეობას ღებულობდნენ მიცვალებულის ნათესავები, მეგობრები და თანასოფლელები.

ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ მთიან ადგილას, მაგალითად ხევში (ყაზბეგის რაიონი), იგი ძლიერ უახლოვდება ცხენოსნობის წმინდა სპორტულ სახეობებს და ხშირად ეწყობა ადგილობრივი ორგანიზაციების თაოსნობით. მაგალითისათვის მოყვანილი ხევსურული დოლი „ცხენნ“ („ცხენდოლვი“) გაგებულ უნდა იქნას როგორც არა მარტო დაკრძალვასთან ან რიგებთან დაკავშირებული რიტუალის ელემენტი, არამედ პირველ რიგში როგორც ხევსურთა სამხედრო ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი ადგილობრივი საშუალება, რომელიც დროთა განმავლობაში რელიგიის მიერ იყო გამოყენებული. ხევსურები, რომლებიც საზოგადოების ცხოვრების კულტურულ-ისტორიული განვითარების თავისებურ პირობებში იმყოფებოდნენ, სისტემატური ფიზიკური ვარჯიშების გარდა ხშირად სამხედრო ფიზიკური მომზადების შემოწმებასაც აწყობდნენ. თავიანთი ძალების ასეთი შემოწმების ერთ-ერთი შესაძლებელი ფორმა, რომელიც დაკრძალვა - რიგების დროს ხორციელდებოდა, დოლი იყო ძნელად სავალ მთიან და კლდოვან ადგილებზე.

შეჯიბრების პირობები მხედრისაგან დიდ სიმამაცესა და მაღალ ოსტატობას მოითხოვდა უბელო ცხენის მართვაში. ცხენოსნობის ეს სახეობა არსებითად სტიპლ-ჩეზის თანამედროვე ფორმის ბუნებრივი და მეტად რთული ვარიანტია. უბელო ცხენის ჭენებაზე ხევსურეთში ლეგენდა არსებობს. მისდევდნენ რა ძირითადად მესაქონლეობას, ხევსური მწყემსები იძულებული იყვნენ მუდამ მზად ჰყოლოდათ ცხენები. ვინაიდან შეუძლებელი იყო ყოველთვის შეკაზმული ცხენის ყოლა, მათ უნაგირის ნაცვლად შალის ქამრებს (შალის გრძელი ქამრები იყო წესად ხევსურ ქალებში) შემოარტყამდნენ ხოლმე საზარდულის არეში, რომელსაც შესხდომისას ერთი ხელით ჩაეჭიდებოდნენ, ხოლო მეორე ამ დროს ფაფარში ან ალვირზე ჰქონდათ ჩავლებული. აქედან შეიქმნა ცხენზე შეჯდომის თავისებური გვერდული ჯდომა, რომელიც ჩვეულებიდან თანდათანობით ტრადიციაში გადაიზარდა. ალბათ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ბავშვებს ცხენზე ჯდომას თავიდანვე უბელო ცხენებზე აჩვევდნენ.

ვფიქრობთ, რომ დოლის ჩატარება ხევსურეთის წარსულ ყოფაში იმითაც უნდა აიხსნას, რომ მიუხედავად მძიმე დანაკლისისა, ოჯახი სასოწარკვეთილებას კი არ ეძლეოდა, არამედ თავისი შემდგომი დამოუკიდებელი ცხოვრების უნარიანობას ავლენდა.

ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ზოგჯერ არასწორადაა ახსნილი ხალხური ფიზიკური ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშების როლი და ადგილი რელიგიურსა და საკულტო წესებში. ფიზიკური აღზრდის იმ საშუალებას სახალხო დღესასწაულზე წმინდა რელიგიურ ხასიათს აკუთვნებენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებანი, ისე როგორც ხალხთა უძველესი კულტურის სხვა დადებითი ელემენტები, რელიგიის მიერ თავისი კლასობრივი მიზნებისათვის გამოიყენებოდა.

მთელი რიგი საცდელი შეჯიბრებებისა და საჩვენებელი გამოსვლების შედეგად ცხენოსნობის ეს ორიგინალური სახეობა რესპუბლიკური ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ გადამუშავებული სახით ჩართულია ცხენოსნური სპორტის ქართულ ხალხურ სახეობათა რიცხვში. თანამედროვე „მთიდან დაშვების“ მონაწილენი დოლს იწყებენ იპოდრომიდან, დაახლოებით 5-6 კილომეტრზე გაივლიან წინასწარ დადგენილ მარშრუტს ძლიერ დასერილი რელიეფით და შეჯიბრებას თვით იპოდრომზე ამთავრებენ.

მთიდან დაშვება მრავალრიცხოვან მაყურებელს იზიდავს და დიდი წარმატებით სარგებლობს ქართულ საზოგადოებრიობაში.

საჭიროა საზოგადოება „კოლმეურნის“ სპორტსმენებმა თავიანთ შეჯიბრებებში გაითვალისწინონ ცხენოსნობის ეს სახეობაც.

ვ. ელაშვილი



სურათებზე: (მარცხნივ) ამხანაგური შეხვედრის მომენტი თბილისის „ნორჩ დინამოელსა“ და რუსთავის ბავშვთა სპორტსკოლის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს თბილისის სპორტსმენებმა — 46:26.

მარჯვენა სურათზე ალბექდილია ამავე ქალაქების ჭაბუკთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. მატჩი მოიგეს თბილისელმა კალათბურთელებმა — 52:50.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

მიეძღვნა სპარტაკიადას

გაიმართა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პირველობა სროლაში მოსწავლეთა შორის. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა 64-ე სკოლის კოლექტივმა. მომდევნო ადგილებზე არიან 58-ე და 49-ე სკოლის მსროლელები. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: გოგონათა შორის — ნ. ჩიპურნაია (64-ე სკოლა), რომელმაც 300-დან 228 ქულა მოაგროვა. ვაჟთა შორის მისმა თანაგუნდელმა ვ. შურიგინმა 273 ქულის მოგროვებით დაიკავა პირველი ადგილი.

• • •

გაიმართა ამავე რაიონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პირველობა სროლაში. უძლიერესი აღმოჩნდა ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი. პირად შეჯიბრებაში ქალთა შორის უძლიერესი იყო ნ. მინასიანი (სამთო-კვლევითი ინსტიტუტი), ვაჟთა შორის — ჯ. გველესიანი (გამოყენებითი ქიმიის კვლევითი ინსტიტუტი).

ი. ხაზეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისელთა სტარტები მოსკოვში

სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა სპორტსმენთა ჯგუფს, რომელთა შორის არიან მოცურავენიც — გ. ანდროსოვი, გ. პროკოპენკო (ორივე ლვოვის „დინამო"), ვ. კუზმინი (მოსკოვის „ბურევესტნიკი"), ლ. ბარბიერი (ცსკა) და ლ. კოლესნიკოვი (ცსკა).

ეს ამბავი ცნობილი გახდა, როცა ინფორმატორმა მსაჯმა დინამოელ მოცურავეთა საკავშირო შეჯიბრების ალმის აღსამართავად გამოიძახა გ. ანდროსოვი და გ. პროკოპენკო. მოსკოვის „დინამოს" აუზში ტაშით შეხვდნენ ამ ცნობას.

მეგობართა დაჯილდოება სპორტსმენებმა მთელი რიგი მაღალი მაჩვენებლებით აღნიშნეს. ტალინელმა უ. ინდრიკსონმა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში აჩვენა 5.46,7 და ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა ქალთა შორის, ხოლო მოსკოველმა მოსწავლემ ნ. ბისტროვამ 50 მ თავისუფალი სტილით გაცურა 29,4 წამში და გააუმჯობესა გოგონათა საკავშირო რეკორდი.

მაყურებლები ბევრს მოელოდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატების გ. ანდროსოვისა და გ. პროკოპენკოსაგან. გ. ანდროსოვმა ორი გამარჯვება მოიპოვა: 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აჩვენა 2.09,0, ხოლო 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 5.06,1. გ. პროკოპენკომ ყველაზე სწრაფად დაფარა 100 მ ბრასის სტილით — 1.11,4.

თბილისელი დინამოელებიდან ამ შეჯიბრებაზე ყველაზე კარგად გამოვიდა სპორტის ოსტატი ი. ფუნიკოვი. მან 200 მეტრზე ბრასით ცურვაში აჩვენა 2.38.0 და მოიპოვა საზოგადოების ჩემპიონობა. ქალთა შორის ამავე დისტანციაზე თბილისელმა ოსტატმა ლ. კრილოვამ კარგი მაჩვენებლით (3.03,5) მეორე ადგილი დაისაკუთრა და წინ გაუშვა მხოლოდ კიეველი მ. ფირსოვა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან პირადი რეკორდით მეორე ადგილზე გამოვიდა ი. ჩუგუევსკაია. 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში ესტონელ რ. პრანგელთან ბრძოლაში მან დისტანცია დაამთავრა 1.18,0 წუთში და მცირედ ჩამორჩა გამარჯვებულს. 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში ვაჟთა შორის მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა სპორტის ოსტატმა ბ. კამენსკიმ, მისი შედეგია — 1.07,3. თბილისის



ყველა ეს მოცურავე მოხვდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ნაკრებ გუნდში და მონაწილეობას მიიღებს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" საკავშირო შეჯიბრებაში, 2-7 აპრილს მოსკოვში.

დინამოელთა შეჯიბრების პარალელურად მოსკოვშივე გაიმართა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობაც. თბილისელმა სპორტის ოსტატმა ბ. ნიკიტინმა გამარჯვება მოიპოვა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 4.38,3. წარმატებით გამოვიდა თბილისელი ოსტატი ა. ტუტაკაევიც. ისეთ ცნობილ სპორტსმენებთან, როგორებიც არიან ლ. კოლესნიკოვი, ა. იარემენკო, ა. კოსტიცინი და სხვები, 200 მეტრზე ბრასით ცურვაში აჩვენა 2.41,8 და მეორე ადგილი მოიპოვა.

ვ. ბოჩკანოვი (თბილისი) ძალებს ცდიდა 100 მ ზურგზე ცურვაში და შეძლო მესამე ადგილის დაკავება — 1.08,1. თბილისელმა მოცურავეებმა მესამე ადგილი მოიპოვეს კომბინირებულ ესტაფეტაშიც 4X100 მეტრზე. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. ბოჩკანოვი, ა. ტუტაკაევი, ბ. ნიკიტინი და ი. გიორგობიანი, დისტანცია დაფარა 4.30,8 წუთში.

არმიელთა საკავშირო შეჯიბრებაზე საპრიზო ადგილებზე გამოსული ჩვენი სპორტსმენები მოხვდნენ ნაკრებში და შეუდგებიან სამზადისს მომავალი დიდი შეჯიბრებისათვის.

ბ. კამენსკი,
სპორტის ოსტატი.

* * *

სურათებზე: ზევით — არმიელი მოცურავე ბ. ნიკიტინი, რომელმაც საზოგადოების ჩემპიონობა მოიპოვა 400 მ კომპლექსურ ცურვაში. ქვევით — დინამოელთა შორის 200 მეტრზე ბრასით ცურვაში გამარჯვებული ი. ფუნიკოვი.

პირველი მოჭადრაკის სახელისათვის

საქართველოს 1963 წლის პირველობა ჭადრაკში

◆

XVI ტურში ადრე დამთავრდა ჯინჯიხაშვილ-კალატოზიშვილის შეხვედრა. ჯინჯიხაშვილი დიდი ძალით თამაშობს ფინიშზე. მან კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის მიერ გახსნილი ცენტრი, მიიღო ძლიერი გამსვლელი პაიკი და 33-ე სვლაზე გაიმარჯვა კიდეც.

წარუმატებლად იბრძვის ფინიშზე ბერაძე, რომელიც ამ დღეს ბლაგიძესთან დამარცხდა. აი როგორ წარიმართა მათი პარტია.

ა. ბლაგიძე-ჯ. ბერაძე

1. d4 მf6 2. c4 c5 3. d5 g6 4. მc3 კg7 5. e4 d6 6. კf4 მh5 7. კe3 0—0 8. კe2 მf6 9. ლd2 ეe8 10. h3 b5 11. cb a6 12. a4 ab 13. კ:b5 კd7 14. კd3 მa6 15. მge2 მb4 16. კc4 e6 17. de კ:e6 18. კ:e6 ე:e6 19. f3 მd7 20. 0—0 მe5 21. b3 მec6 22. ეab1 f5 23. მფh1 ლf8 24. მd5 ეd8 25. მef4 ეe5 26. მd3 მ:d5 27. მ:e5 de 28. ed მd4 29. ლd3 ლd6 30. ეfc1 ლd5 31. b4 e4 32. fe fe 33. ლc4 ლ:c4 34. ე:c4 cb 35. კ:d4 კ:d4 36. ეd1 შავები დანებდნენ.

შიშოვმა ინგლისურ დაცვაში უკეთესად ააწყო პოზიცია, ვიდრე მისმა ჭაბუკმა მეტოქემ, ქუთაისელმა გიორგაძემ. პაიკის შეწირვით ოსტატი დაეუფლა შავ უჯრებს და პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. დაიწყო მანევრული თამაში. გიორგაძემ დაუშვა სვლების შეცდომითი გადანაცვლება და ფიგურის დაკარგვის მუქარის წინაშე აღმოჩნდა, ამიტომ 27-ე სვლაზე შეწყვიტა კიდეც წინააღმდეგობა.

ძლიერად თამაშობდა ლომაია მიქაელიანთან. მან დამაჯერებლად გამოიყენა მიქაელიანის ნაჩქარევი აქტიობა და შავი პაიკების ბლოკირებით ჩაახშო მეტოქის იერიშის პერსპექტივები. შემდეგ მან მოიგო პაიკი და, როცა კიდევ მეტი ნადავლისათვის ემზადებოდა, მიქაელიანი დანებდა. არნშტეინმა მოუგო კირვალიძეს.

საინტერესო იყო ჭანტურია-გურგენიძის პარტია. დასაწყისში საქართველოს ჩემპიონმა პოზიციის ღრმა გაგებით გარკვეული უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ შემდეგ მხედრის მანევრებზე დაკარგა ტემპი. ამით ისარგებლა აჭარის ჩემპიონმა და კომბინაციური გზით თვითონ შეუტია. აი ამ პარტიის ფინალი.

ჭანტურია: მფf2, ეe1, ეa1, მe5. პ-ბი: a2, b3, c3, d4, f4, g4, h4 (11).

გურგენიძე: მფd6, ეc7, ეh8, მg8. პ-ბი: a7, b7, d5, e6, f6, f5, h7 (11).

25. gf ef 26. fe+ მფe7 27. f6+ მფf8 28. ეg1 მh6 29. ეg5 მf5 30. ეag1 ეf7 31. h5 მh6 32. მფe3 ეg8 33. ე:g8+ მ:g8 34. b3 b5 35. მფd3 ეc7 36. ეb1 a5 37. c4 bc+ 38. bc dc+ 39. მფc3 მფf7 40. ეb8 ეa7 41. მფ:c4 a4 42. a3 ყაიმი.

კომბინაციური ბრძოლით აღინიშნა აგრეთვე თხელიძე-გაფრინდაშვილის შეხვედრა. თეთრებმა მხედარი შეწირეს იერიშისათვის. მსოფლიო ჩემპიონმა მოიგერია მუქარები, შეინარჩუნა უპირატესობა, მაგრამ ცაიტნოტში მოუხდა ორი პაიკის დათმობა. პარტია გადაიდო რთულ პოზიციაში.

* * *

გუშინ, საჭადრაკო ჩემპიონატში გათამაშდა XVII ტურის პარტიები. ჯინჯიხაშვილმა დაამარცხა იზვოზჩიკოვი, ჩიქოვანმა — ბერაძე, ჯანოევმა — ვეტოხინი, გიორგაძემ — ლომაია. ყაიმით დამთავრდა გაფრინდაშვილ-შაშოვის, არნშტეინ-ჭანტურიას და გურგენიძე-თხელიძის პარტიები.

XVII ტურის შემდეგ ჩემპიონატს ლიდერობს ბ. გურგენიძე. მას აქვს 12,5 ქულა. ლიდერს 1 ქულით ჩამორჩებიან შიშოვი და ჯინჯიხაშვილი. ნ. გაფრინდაშვილი მეოთხე ადგილზეა. მას აქვს 10 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

თ. გიორგაძე

თბილისის 72-ე საშუალო სკოლაში პოპულარული გახდა ხელბურთის თამაში. აქ ხელბურთელთა სექციას ხელმძღვანელობს ფიზაღზრდის მასწავლებელი ჯ. აბშილავა.

გასულ წელს 72-ე სკოლის მოსწავლეთა უმცროსი და უფროსი ასაკის გუნდებმა საქალაქო პირველობაზე ჭაბუკთა შორის პირველი ადგილები დაისაკუთრეს და კარგი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება გამოავლინეს. ახლა 72-ე სკოლის ჭაბუკები ჩარიცხული არიან სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" საქალაქო ნაკრებ გუნდებში და ემზადებიან მომავალი შეჯიბრებებისათვის.

სურათზე: ზევით — მწვრთნელი ჯ. აბშილავა (პირველი მარცხნიდან) თავის აღსაზრდელებთან; ქვევით — ხელბურთელები წვრთნის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

ა. მაკარენკო

ჩვენი კალენდარი

ა. მაკარენკო საბჭოთა პედაგოგიკის კლასიკოსთა რიცხვს ეკუთვნის. მან ბრწყინვალედ გაამდიდრა პედაგოგიკა პრაქტიკით ნაკარნახევი და შემოწმებული კანონებითა და დებულებებით. სწორედ ამიტომ აღნიშნა ასე ფართოდ დიდი ჰუმანისტისა და მოქალაქის, შესანიშნავი პედაგოგის ა. მაკარენკოს დაბადებიდან 75 წლისთავი საბჭოთა ხალხმა.

ა. მაკარენკოს პედაგოგიურ და უშუალო პრაქტიკულ მოღვაწეობაში გარკვეული ადგილი უჭირავს ფიზიკური აღზრდის საკითხებს. ფიზიკურ აღზრდას იგი იხილავდა როგორც მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდის განუყოფელსა და მნიშვნელოვან ნაწილს.

მან კარგად იცოდა, რომ ჰარმონიული განვითარების მიღწევა სპორტის მხოლოდ რომელიმე ერთი სახეობის დაუფლებით შეუძლებელია და საჭიროა ფიზიკური ვარჯიშების, მოძრავი თამაშების მრავალსახეობათა გონივრული შერწყმა.

მართლაც, მის მიერ დამუშავებულ პედაგოგიურ სისტემაში დანერგილი იყო ტანვარჯიში, თხილამურები, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ფრენბურთი და მრავალი სხვა სახეობა.

ესმოდა რა თამაშების მნიშვნელობა ადამიანის ფიზიკური და განსაკუთრებით ინტელექტის აღზრდა-განვითარების საქმეში, ა. მაკარენკო თავის პედაგოგიურ საქმიანობაში დიდ ადგილს უთმობდა მოძრავ თამაშებს. იგი განსაკუთრებით იყო გატაცებული საველე თამაშების ორგანიზაცია-ჩატარებით.

ა. მაკარენკო პრინციპში არც სპორტული რეკორდების წინააღმდეგი იყო, თუმცა აქ იგი დიდ სიფრთხილეს იჩენდა, რათა მომეცადინეებში არ ჰქონოდა ადგილი ყოყოჩობას, მოწინააღმდეგის აბუჩად აგდებას და სხვა უარყოფით გამოვლინებებს. მან თავის აღსაზრდელებში იმასაც კი მიაღწია, რომ ცალკეული სპორტსმენის წარმატებანი მთელი კოლექტივის გამარჯვებად იყო მიჩნეული და პირადი ინტერესები ექვემდებარებოდა კოლექტივის ინტერესებს.

ცნობილია ა. მაკარენკოს მაღალი მომთხოვნელობა აღსაზრდელების მიმართ. სწორი ტანადობა, ფაქიზი ჩაცმა, ზომიერი მოქმედებანი, ერთმანეთს შორის კარგი დამოკიდებულება და თავაზიანობა მისი აღსაზრდელების დამახასიათებელი თვისებები იყო.

ფიზიკური აღზრდის პროცესში შეგნებული დისციპლინისა და ორგანიზებულობის აღზრდის ერთ-ერთი საფუძველი სწორედ ეს იყო. აღსანიშნავია ა. მაკარენკოს დიდი დამსახურება დისციპლინის ცნებისა და შინაარსის დაზუსტებაშიც.

ფიზიკური აღზრდის საბჭოურ თეორიასა და მეთოდიკაში მისი დებულებანი და პრაქტიკული გამოცდილებანი უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს. მას კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდის თანამედროვე პრაქტიკისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

ხ. მელაშვილი

მოედანი, მერე და ფორი

ძველ ქართულ ლიტერატურულ პირველ წყაროებში სავარჯიშო ნაგებობათა შემდეგი სახელწოდებანია დაცული: ჰიპოდრომი და ცხენთსარბიელი, ასპარეზი, და და მოედანი, მერე, ფორი, მინდორი და სამღერალი, სათამაშო და სამორინე სახლები, ამ შემთხვევაში ჩვენ საუბარი გვექნება მოედნის, მერესა და ფორის შესახებ.

საქართველოში „მოედნის", როგორც სამხედრო ფიზიკური ვარჯიშ - შეჯიბრებათა ჩასატარებელი ადგილის სახელწოდებად დამკვიდრება ივანე ჯავახიშვილის მიხედვით არაბთა ბატონობის ხანასთანაა დაკავშირებული, მის შესახებ საკმაო ცნობებს იძლევიან „ამირან დარეჯანიანი" და „ვეფხისტყაოსანი". „ამირან დარეჯანიანში" ვკითხულობთ: „შეჯდა ამბრი არაბი და ითხოვნა კონენი, გავიდა და მოედანს შიგან იმღერდა". ასევე „ვეფხისტყაოსანში" ცხენბურთის თამაში მოედანზე წარმოებდა: „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ცემა".

მოედნის სამხედრო ფიზიკურ ვარჯიშ-შეჯიბრებათა ჩასატარებელი ადგილის აღმნიშვნელ სახელწოდებად არსებობა დამოწმებულია ისტორიული პირველწყაროებითაც. თამარ მეფის ისტორიკოსის გადმოცემით ირანელ და ქართველ მობურთალეთა შეჯიბრება მოედანზე ჩატარდა. თამარ მეფე და ქართველი დიდებულები სტუმრებითურთ „ჩავიდნენ მოედანსა" ბურთით თამაშის „საჭვრეტელად". ამავე ისტორიკოსის გადმოცემით თამარ მეფეს ესტუმრა რა ძვირფასი საჩუქრებით მეტაფრადინი, რომელმაც საქართველოში რამდენიმე თვე დაჰყო, მას „აჩვენეს საყოფნი სანადირონი, მინდორი, მოედანი და ქვეყანანი კახეთისა და რანისანი".

საბას განმარტებით „მოედანი სხუათა ენაა, ქართულად მერე და მინდორი და ფორე ჰქვიან". ს. ჯიქიას განმარტებით მოედანი, მაიდანი სპარსულ-თურქულ-არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს ასპარეზს, ველს, იპოდრომს. თურქულ ენაზე საცხენოსნო შეჯიბრებათა ჩასატარებელ ადგილს „ათ მეიდანი" რქმევია. „მოედნის სახელწოდების შემოსვლა არ ნიშნავს თვით ამ დაწესებულების უცვლელი ფორმით შემოტანას — ეს უკანასკნელი ადგილობრივ ნიადაგზე უნდა იყოს წარმოშობილი, ამას მოწმობს „მოედნის" მეორე უფრო ადრინდელი და წმინდა ქართული სახელწოდება „მერე", „ფორი" და „მინდორი". საბა სიტყვა „მერეს" განმარტებისას წერს: „მერე მოედანი, სწორი ვაკეა", აღნიშნული განმარტების გამო ივ. ჯავახიშვილი წერდა: „უკანასკნელი ცნობა, რასაკვირველია, უფრო სწორია და თანაც იმასაც გვიხსნის თუ რა მნიშვნელობით ჰქონდა საბას ამ შემთხვევაში მოედანი ნახმარი, ამნაირად, მერე სწორე ვაკე ადგილის აღმნიშვნელი ყოფილა. მაგრამ ყოველ ვაკე ადგილს მერე არ ეწოდებოდა, არამედ მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარეს".

მე-6 საუკუნის ლიტერატურული ძეგლი „ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტვილობის" მიხედვით „ყმათა სამღერალი" (სავარჯიშო-სათამაშო ადგილი) მდინარე ქციას პირად ყოფილა მოწყობილი, აპ. როდესელით ქუთაისის ასპარეზი მდინარე რიონის პირად მდებარეობდა, „ვეფხისტყაოსნით" თამაშობანი მდინარის პირად იმართებოდა, კერძოდ, როსტევან და ავთანდილს შორის ნადირობაში გამართული შეჯიბრების შემდეგ:

„იგი ორნივე საგრილად გარდახდეს
ძირსა ხეთასა,
ლაშქართა შექმნეს მოედანა,
მოდგეს უფროსი ბზეთასა;
ახლოს უთქს მონა თორმეტი,
უმხნესი სხვათა მხნეთასა,
და თამაშობდეს და უჭვრეტდეს
წყალსა და პირსა ტყეთასა".

მდინარე კოდორის დელტის მარცხენა სანაპირო ზონაში არქანჯელო ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია სოფელი ქართული სახელწოდებით სათამაშო, ეს პუნქტი „სათამაშო" აღნიშნულია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუკებზედაც. სოფელი ამჟამად აღარ არსებობს, მაგრამ ნასოფლარს დღემდე აქვს შერჩენილი სახელწოდება „სათამაშო".

რაც შეეხება „მერეს" სახელწოდებას, მერე მოხსენებულია გიორგი მერჩულის თხზულებაში — „ხოლო სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედათა ფებრონია მოიწია სამცხით და დამკვიდრდა მერეს შინა". ყოფილა ხუცესი „მერისაი". როგორც მ. მაისურაძე აღნიშნავს პეტრე ლარაძე მხედრული სახეობისათვის განკუთვნილ სავარჯიშო ადგილს უწოდებს არა ასპარეზს, არამედ მერეს — „იყვნენ საბურთლად ტაიჭთა ტურფათა მერეს გამყვანად" (იხ. მ. მაისურაძე, „ასპარეზი", გაზეთი „ლელო" 1955 წელი № 26 30 მარტი).

სიტყვა მერე ხომ არ უკავშირდება ცხენის სახელს „მერანს"? ან პირიქით. ხომ ცნობილია სიტყვა ტაიჭის ტაჯიკეთიდან, ხალხის ეთნიკური სახელწოდებიდან წარმოშობა. ასევე ჰუნებიდან—ჰუნება. ან ჰენიოხებიდან — ჰენი-ცხენი. იქნებ სახელწოდება „მერე" ასევე როგორც „მოედანიც", უცხო ენებიდანაა შემოტანილი საქართველოში.

პროფესორი ა. ბ. დილუნოვის ცნობით მერე ძველბერძნულშიაც არსებულა, რომლითაც აღნიშნავდნენ იპოდრომის ამფითეატრის ცალკეულ ნაწილს, რაც შეესატყვისება თანამედროვე ცირკის სექციას. ცალკეულ [illegible] მჯდომნი (სექციაში) ცალკეულ პარტიებს ეკუთვნოდნენ და მათ წარმომადგენელთა შორის იმართებოდა იპოდრომზე შეჯიბრებანი. ერთი ცხადია, რომ სიტყვა „მერე" ძველი ბერძნულითაც სამხედრო სპორტულ სანახაობებსა და შეჯიბრებებთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება „ფორს", „ფორი მეედანია" იმავე საბას განმარტებით. „ფორა" დღემდე შემორჩენილია იმერულსა და გურულ ლექსიკაში, რაც გამარჯვებას ნიშნავს, ფორა დავადევით ე. ი. გამარჯვება და ქულა მოვიპოვე. ე. ი. ფორის მოპოება მოგებას ნიშნავს — მაგალითად, ორი თუ სამი ფორა მოვიპოვე ე. ი. ორ-სამჯერ გავიმარჯვე, სიტყვა „ფორიდან" უნდა იყოს წარმოშობილი ან პირიქით „აფორიაქება" „ა" პრეფიქსისა და „აქების" სუფიქსის დამატებით. „აფორიაქების" სიტყვის ძირი „ფორი" „ფორაქი" უნდა იყოს, ხოლო „ფორაქს" საბა განმარტავს: „ფორიაქი საქონლის აკლება. რბევასთან ნახე", „ხოლო რბევის განმარტებისას წერს: „რბევა რბოდეს, გინა ჰუნება", ამიტომაც შეიძლება „ფორი" მოედნის მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ საქართველოში, რომელზედაც ჰუნება და რბევა იმართებოდა.

ვ. აფრიდონიძე

✦

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ნაყოფიერად მუშაობენ მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფები. ამ სექციას დიდი ხანია ენერგიის დაუზოგავად ხელმძღვანელობს ვ. ლაზარევა.

* * *

სურათზე: მწვრთნელი ვ. ლაზარევა (შუაში) აღსაზრდელებს ესაუბრება ტანვარჯიშის ასათვისებელი ილეთების შესახებ.

✦

ფრანგი „კოლუმბი"

წამის მეათედებს, სანტიმეტრებსა და მეტრებს არა მარტო სპორტსმენები ებრძვიან. რეკორდებისათვის და მაღალი მიღწევებისათვის მზადება თავდაპირველად მეცნიერულ ლაბორატორიებში წარმოებს. აქედან გამოაქვთ სიახლენი მწვრთნელებსა და სპეციალისტებს, რომლებიც პრაქტიკაში ამოწმებენ მეცნიერულ ხელსაწყოთა სიზუსტეს.

მაგრამ არის მწვრთნელთა ერთი კატეგორია, რომლებიც არ ემორჩილებიან პროგრესის არავითარ კანონებს და სპორტსმენებს თავიანთი, წმინდა სუბიექტური მეთოდებით ამზადებენ. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ფრანგი მოთხილამურეების მწვრთნელი ონორე ბონეტი. იგი თავისი დარგის ნამდვილი „კოლუმბია", მაგრამ „კოლუმბმა" ჯერ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

ონორე ბონეტი ძიების გზას დაადგა ავსტრიის მოთხილამურეთა მთელი რიგი წარმატებების შემდეგ. ერთ მშვენიერ დღეს „ნოვატორ" მწვრთნელს ასეთმა აზრმა გაუელვა: „რატომ არ შეიძლება ფრანგი მოთხილამურეები დაეუფლონ ავსტრიელთა ოსტატობას? ნუთუ ავსტრიელთა კონსტიტუცია სხვაა, ფრანგებისა კი სხვა"?

მწვრთნელს სერიოზულად აწუხებდა ის გარემოება, რომ მის მოწაფეებს პანიკური შიში ჰქონდათ თავბრუდამხვევი დაღმართებისა და ამის გამო წარუმატებლად გამოდიოდნენ სწრაფდაშვებაში.

დიდი ფიქრის შემდეგ მან შეიმუშავა „წვრთნის მეცნიერული მეთოდი" და დაიწყო მისი პრაქტიკული გამოყენება. ონორე ბონეტის სისტემა არ იყო მაინცდამაინც რთული. იგი სპორტსმენებს უკრავდა ხელებს და შემდეგ აიძულებდა მთიდან დაშვებას. შემდგომში მან გაართულა წვრთნის მეთოდები. ბონეტის მოთხილამურეები გამოდიოდნენ რინგზე და ებრძოდნენ მოყვარულ სპორტსმენებს (გამბედაობის გამომუშავება). ამასთან მწვრთნელი წინასწარ აძლევდა მითითებას მოთხილამურეს, თუ რა პირობებში არ უნდა დაცემულიყო რინგზე.

ვარჯიშთა ციკლი შეიცავდა აგრეთვე კლდოვანი მთიდან ველოსიპედით დაშვებას. და როდესაც რომელიმე სპორტსმენი საკმაოდ მძიმედ შავდებოდა, მწვრთნელი მას ასეთი „პედაგოგიური" სენტენციით მიმართავდა: „თოვლზე დაცემა კი გაცილებით უხიფათო და სასიამოვნოა". ბონეტის მეთოდებმა მოწაფეები რაღაცას მართლაც მიაჩვიეს, მაგრამ ეს რაღაცა საკმარისი არ გამოდგა ავსტრიელთა დამარცხებისათვის.

მიმდინარე სეზონისათვის დაუდეგარმა ონორემ ახალი სისტემა მოიგონა და მას „რაკეტული სტილი" უწოდა. „ძველმა მეთოდმა არ გაამართლა,—განუცხადა მწვრთნელმა ჟურნალისტებს, — ახალი მეთოდი კი საგრძნობლად გააუმჯობესებს სტარტის ტექნიკას, რომლის შედეგადაც სპორტსმენი საკონტროლო ხაზს რაკეტის სისწრაფით მოწყდება".

როგორ სახელს მოუტანს ეს მეთოდი მწვრთნელს არ ვიცით, რადგან ახალი სისტემის არსს იგი გულმოდგინედ მალავს. ცხადია ერთი — თუ იგი ძირფესვიანად არ განსხვავდება ძველი მეთოდისაგან, ონორე ბონეტის მოწაფეები რამდენსამე სეზონში ინვალიდებად გადაიქცევიან.

ფეხბურთის ქრონიკა

ბაზრობათა თასის გათამაშებაში შედგა ორი შეხვედრა. პრიზის მფლობელმა — „ვალენსიამ" (ესპანეთი) საკუთარ მინდორზე მოუგო შოტლანდიის „იბერნიენს" — 5:1. მიუნჰენში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ბაიერნი" და ქ. ზაგრების „დინამო" (იუგოსლავია). მატჩი მოიგეს იუგოსლაველებმა ანგარიშით 4:1.

* * *

სამხრეთ ამერიკის პირველობაზე, რომელიც ბოლივიაში მიმდინარეობს, პერუს გუნდთან შეხვედრაში დამარცხება განიცადა არგენტინის ნაკრებმა. აღსანიშნავია, რომ არგენტინამ ამ გათამაშებაში მეორეხარისხოვანი გუნდი გაგზავნა.

* * *

ცნობილია, რომ ინდოელი ფეხბურთელები ხშირ შემთხვევაში ფეხშიშველები თამაშობენ. ამ ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციამ მიიღო ოფიციალური გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ფეხბურთელებს ეკრძალებათ თამაში ბუცების გარეშე.

რედაქტორი ი. უზულავა.

24-25
მარტი
თბილისის ბავშვთა
ცენტრალური ტანვარჯიშის
სპორტსკოლა
(პეტრიაშვილის ქ. № 7)
სპორტული
ტანვარჯიში
საქართველოს მოზარდ
ტანმოვარჯიშეთა პირადი
პირველობა
დასაწყისი: კვირას — 11 ს, ორშაბათს — 12 ს.

22-25
მარტი
საერთაშორისო შეჯიბრება
თავისუფალი ჭიდაობა
დასაწყისი 19 საათზე
22-25
მარტი

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05882